მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N19

ქ. წალენჯიხა 28 ოქტომბერი 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, ცოტნე მესხია, ვლადიმერ კვარცხელია, ბორის კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, მარინა კალანდია, დავით ჭიჭინაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12 : 55 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებასთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით ერთხმად იქნა დამტკიცებული (მიღებულიქნა განკარგულება N56)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის მიმოხილვა ნაზარდი ჯამით

მომხსენებელი: კორნელ კვარაცხელია –გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

3. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თემურ მებონია-გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ.

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: თემურ მებონია-გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ.

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაყოფის რეგისტრაციაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელი: თემურ მებონია-გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ.

6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მადონა ქაჯაიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე.
მომხსენებელი: მერაბ შონია- გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. სხვადასხვა.

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის მიმოხილვა ნაზარდი ჯამით

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის მიმოხილვა ნაზარდი ჯამით მიღებულიქნა ცნობად.

მოისმინეს: 3. .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ;

საკითხი წარმოადგინა სამანდატო,იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N43)

მოისმინეს: 4. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების ფასის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ თემურ მებონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N57)

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N58)

მოისმინეს: 6 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაყოფის რეგისტრაციაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N59)

მოისმინეს : 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მადონა ქაჯაიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსმ,ა მერაბ შონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N60).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 ოქტომბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N56

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 28 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის მიმოხილვა ნაზარდი ჯამით

მომხსენებელი: კორნელ კვარაცხელია –გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

4. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ხვიჩა მებონია-გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ.

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: თემურ მებონია-გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ.

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაყოფის რეგისტრაციაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელი: თემურ მებონია-გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ.

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მადონა ქაჯაიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე.
მომხსენებელი: მერაბ შონია- გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

8. სხვადასხვა.

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43

2015 წლის 28 ოქტომბერი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე და 88-ე მუხლების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

დანართი №1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.ეს წესი განსაზღვრავს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა (შემდგომში გამგებელი) და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (შემდგომში- საკრებულოს წევრი) მიერ ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის პროცედურებს, ვადებსა და სამართლებრივ პირობებს.

2.ამ წესის მიზანია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განსაზღვრულ შემთხვევებში, უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობა და ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობაში.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

1.მუნიციპალიტეტის გამგებელი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1-ლი ნოემბრისა, მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

2.მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები უფლებამოსილნი არიან მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრები მოაწყონ და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს საკრებულოსა და გამგეობის სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო სივრცეში, ასევე მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, რასაც ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი და/ან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

4. საჯარო შეხვედრაზე ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით,ასევე შესაძლებელია საკრებულოს მიერ დამტკიცებული სპეციალური ფორმის მიხედვით. ანგარიშის წარდგენისას დასაშვებია აუდიო,ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ამომრჩევლის უფლებები

1.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს საჯარო ანგარიშების განხილვას.

2.საჯარო შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებს, ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.

3.მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან საჯარო შეხვედრის დროს ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

1.მუნიციპალიტეტის გამგებელისა და საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის მოწყობამდე და მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენამდე ერთი კვირით ადრე მაინც, საკრებულოს აპარატი და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის განთავსებას მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

2.მუნიციპალიტეტის გამგებელისა და საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშები ოფიციალურად ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. საჯარო შეხვედრების ორგანიზება

1.მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრების ორგანიზებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მუნიციპალიტეტი გამგეობის შესაბამისი სამსახურების დახმარებით.

2.მუნიციპალიტეტის გამგებლის საჯარო შეხვედრების ორგანიზებას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურები.

3.მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების ამომრჩეველთან შეხვედრისას დგება ამომრჩეველთან შეხვედრის ოქმი. ოქმში მითითებული უნდა იქნეს ამომრჩეველთან შეხვედრის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოკლე მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია. ოქმის შედგენა შესაძლებელია აუდიო-ვიდეო ტექნიკის გამოყენებით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საკრებულოს დადგენილებით კანონმდებლობით დადგენილი წესით

დანართი №2

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი _____
თანამდებობის დასახელება _____
ფრაქციის დასახელება _____
კომისი(ებ)ის დასახელება _____
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) _____
საანგარიშო პერიოდი 20 ___ წლის _____ -დან 20 ____ წლის _____ მდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _____

1. **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _____
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _____

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _____ მ/შ დროებითი კომისიების _____
კომისიის სხდომებზე დასწრება _____ მ/შ დროებითი კომისიების _____

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _____
ფრაქციის სხდომებზე დასწრება _____

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა
_____
_____
_____
_____

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _____ და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა _____

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
_____
_____
_____
_____

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

_____
_____
_____
_____

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
_____
_____
_____
_____

შევსების თარიღი _____

წარდგენის თარიღი _____

ხელის მოწერა _____

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 ოქტომბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N57

მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ეd“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა, წარმოდგენილი დანართი N1 და N2-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქუჩა N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

დანართი N1

NN	მესაკუთრე	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვმ.	დაშენების ფართობი კვმ	მიწის (უძრავი ქომების ს/კ.)
1	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	ყოფილი სავადმყობოს შენობა	ქ.წალენჯიხა დასახლება ზღვაია	662,0	541,71	47.11.48.125
2	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	ყოფილი საცხოვრებელი სახლი	ქ.წალენჯიხა დასახლება ზღვაია	763,0	229,0	47.11.48.072
3	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	ყოფილი თონეს შენობა	ქ.წალენჯიხა, გამსახურდიას ქუჩა	125,0	90,0	47.11.43.038
4	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. წალენჯიხა ზუგდიდის ქუჩა	653,0	--	47.11.43.256

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა

დანართი N2

N N	საპრივატიზებო ობიექტების დასახელება	მდებარეობა	საყწისი საპრივატიზებო საფასური ლარი	ელექტრონული/საჯარო აუქციონის (უპირობო ან პირობებიანი) ფორმა	ელექტრონული/საჯარო/ აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	ყოფილი სავადმყოფოს შენობა	ქ. წალენჯიხა დასახლება ზღვაია	3200	დაშლა-გატანა	2016 წლის მარტი
2	ყოფილი საცხოვრებელი სახლი	ქ. წალენჯიხა დასახლება ზღვაია	1150	დაშლა-გატანა	2016 წლის მარტი
3	ყოფილი თონეს შენობა	ქ. წალენჯიხა გამსახურდიას ქუჩა	2500	უპირობო	დეკემბერი
4	არა სასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთი	ქ. წალენჯიხა ზუგდიდის ქუჩა	5800	უპირობო	ნოემბერ-დეკემბერი

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 ოქტომბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N58

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-მუხლის 1-ლი პუნქტის „დ,დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წალენჯიხა, წმინდა-ნინოს ქუჩაზე მდებარე სასტუმრო შენობის (ს/კ 471144004) პირველ სართულზე არსებული (54,4 კვ.მ.)არასაცხოვრებელი ფართი 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირა 1 200 ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქუჩა N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 ოქტომბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N59

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაყოფაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24- ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს:

ა) ქ. წალენჯიხა, სალიას ქუჩაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, წიგნის მაღაზიის შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული 460,02 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ 47114303701/006) დაყოფა და მისი რეგისტრაცია 2 ნაწილად მისი შემდგომი პრივატიზაციის მიზნით:

ა.ა) არასაცხოვრებელი ფართი N1-22,96 კვ.მ;

ა.ბ) არასაცხოვრებელი ფართი N2-437.06 კვ.მ;

ბ) ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში (ნანჯარუს უბანში) მდებარე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყოფილი ბაღის შენობის და მასზედ დამაგრებული 4 653 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 4706360144) დაყოფის რეგისტრაცია 2 ნაწილად:

ბ.ა) ბაღის შენობა და მასზე დამაგრებული 2023 კვმ მიწის ნაკვეთი N1-დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ.ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2630 კვმ მიწის ნაკვეთი N2-შემდგომი პრივატიზაციის მიზნით.

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი გრ. ჭობალიას ქუჩა N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 ოქტომბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N60

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მადონა ქაჯაიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N122 განკარგულების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ხარჯებიდან, ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მადონა ქაჯაიაზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით გაცემაზე.
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქუჩა N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია